„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2021 წელი ● №5-6 (9500-9501) ● 1-31 მარტი ● ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიაში

სენაკის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი აღიარება

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ორგანიზებით გამართულ მესამე ეროვნულ კონფერენციაზე, საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის (BPP) 2019-2020 წლების კონკურსში გამარჯვებული 9 მუნიციპალიტეტი დასახელდა, მათ შორის, დასავლეთ საქართველოდან - სენაკისა და ფოთის მუნიციპალიტეტები.

სენაკის მუნიციპალიტეტს გამარჯვება 2020 წელს, ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეთლემში განხორციელებულმა პროექტმა — „სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით" მოუტანა.

პროექტი განხორციელდა საქართველოს მთავრობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) - რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD) - ფაზა 2-ის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

კონფერენცია, რომელსაც ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი დავით მელუა და მისი მოადგილე ნათია ღვინაშვილი უძღვებოდნენ, პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვით, ერთდროულად ორ ლოკაციაზე, სასტუმროებში — „ბილტმორ თბილისი" და „ჰილტონი ბათუმი" მიმდინარეობდა.

ბათუმში მიმდინარე კონფერენციას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პროექტის ავტორი — ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის წარმომადგენელი მარინე კვარჭაია, დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად ესწრებოდნენ.

დაჯილდოების ცერემონიალზე სტუმრებს, მისასალმებელი სიტყვით, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ — სოზარ სუბარმა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ - მზია გიორგობიანმა მიმართეს.

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „ეფექტიანობის და განვითარების ქსელი" (N4ED) ფარგლებში ორგანიზებულ საუკეთესო პრაქტიკათა ეროვნულ კონფერენციას, ზუმ-პლატფორმის საშუალებით შეუერთდნენ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე — კატალინ ჰერმანი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში — ლუიზა ვინტონი და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის რეგიონული დირექტორი - დანიელ მევლი.

ორივე ლოკაციის დაჯილდოების ცერემონიალზე, N4ED-ის საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში გამარჯვებულ სენაკის, ბოლნისის, წყალტუბოს, რუსთავის, ოზურგეთის, ფოთის, ქუთაისის, მარნეულისა და თელავის მუნიციპალიტეტების მერებს სპეციალური პრიზები და სიგელები ათეა-ს და პროექტის - N4ED დირექტორმა - დავით მელუამ და საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის წამყვანმა ექსპერტმა - ნინო ზურაბიშვილმა გადასცეს.

იუკიჰიკო ეჯირის ვიზიტი სენაკში

სენაკში, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს მუდმივი წარმომადგენელი იუკიჰიკო ეჯირი იმყოფებოდა.

იუკიჰიკო ეჯირმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან, დავით ვერავასთან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან, მოადგილესთან, კახაბერ კუპრეიშვილთან, საკრებულოს წევრთან, ძველი სენაკის მაჟორიტარ დეპუტატთან, დავით ხუხიასთან ერთად, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სარეაბილიტაციო საგანმანათლებლო ობიექტები დაათვალიერა.

საერთაშორისო სააგენტოს მიზანია, სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა და გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მათი რეაბილიტაცია.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

3 და 8 მარტი - დედის და ქალთა დღესასწაული.

მუნიციპალიტეტის მანდილოსნებო, გილოცავთ!

7 მარტი-ჟიული შარტავას დაბადების დღე

„ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია. ისეთი ბიჭები იხოცებიან, ძნელია ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი." – თქვა ჟიული შარტავამ და ბოლომდე, გმირულად იდგა თავისი ქვეყნის სადარაჯოზე.

(ამონარიდი ჟიული შარტავას სიტყვიდან)

21 მარტი- ქართული ჟურნალისტიკის დღე

ამასთან დაკავშირებით გზადაგზა შემოგთავაზებთ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკიდან ნაწყვეტებს.

„აიღებს ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავსა ჰკითხავს: ვის უნდა ველაპარაკო, და სისხლი ძარღვში გაუშრება ხოლმე. მართლა-და, ვის უნდა ელაპარაკოს? მეტყვიან: ყველასაო. დიაღ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, საყოველთაო რა გვაქვს, რომ მწერალმა ფრთა გაშალოს და იმაზედ განაღვლოს საყოველთაო ნაღვლითა, ანუ გალხინოს საყოველთაო ლხინითა? ქართველობა ხომ არა გგონია საყოველთაო სალხინებელი და სანაღვლებელი? დიაღაც ეგ უნდა იყოს, მაგრამ სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხო: ვართ-ღა სადმე? როგორ თუ ვართ-ღაო, შემომიტევ წყრომით. თუ შენ, ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცური-კაცობა ხელში მჩვრად არ გადაგიქცევია, ვიცი, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცი, რა ტკივილიც ამოგაკვნესებს; მაგრამ ესეც უნდა იცოდე. რომ ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა".

„ზოგიერთი რამ“

(გაგრძელება შემდეგ ნომრებში)

ჩვენი სათქმელი

პოზიციათა შეჯერებას, ერთმანეთთან დაახლოებას, დიალოგს და რაც მთავარია ქვეყნისთვის საჭირო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კუთხით საკითხთა დალაგებას და გადაწყვეტას ალტერნატივა არ გააჩნია. ამიტომ და სხვა მრავალთა გამოც „ჭკუით ქართველნო“ (ჭაბუა ამირეჯიბი). ჩვენი გეოპოლიტიკური და საერთაშორისო სიბრტყეზე ახალ-ახალი გამოწვევების გამოც „მოვუაროთ საქართველოს“ (ნიკო ლორთქიფანიძე). ქვეყნის მოვლა და პატრონობა კი ყველას ვალია ასაკის, სქესის თუ იერარქიისა, ეს წმიდათაწმინდა ფუნქციაა, რომლის აღსრულებისთვის უნდა ვიზრუნოთ. „სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს .... იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მას ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ „მხნე იყავ და გაძლიერდი“!“ (ილია ჭავჭავაძე)

ჩვენი სათქმელიც ეს არის: ერთად მოვუაროთ საქართველოს !

რედაქცია

მუნიციპალიტეტის მერიაში (გაგრძელება)

ჟიული შარტავა - 77

7 მარტს, საქართველოს ეროვნული გმირის - ჟიული შარტავას მშობლიურ ქალაქში, სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილის ბიუსტი გვირგვინებით შეამკეს და მის ხსოვნას პატივი მიაგეს: სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა მალხაზ თორიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბადრი კალანდარიშვილმა, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა.

ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, მხატვრულ-ლიტერატურულ კომპოზიციაში - „სენაკი ამაყობს თავისი გმირებით...", გააცოცხლეს მამულის ფიქრითა და გარჯით სავსე ერისკაცის - ჟიული შარტავას ცხოვრების გზა - ყრმობა, ოჯახი და გარემო, სადაც იგი ჩამოყალიბდა, მოღვაწეობის წლები, აფხაზეთში მისი გმირული აღსასრულის ამბავი... ამბავი კაცისა, ვინც, სულიერების მწვერვალს მიღწეულმა, მოწამეობრივი აღსასრულით, საოცარი მაგალითი დაგვიტოვა. ასეთი ადამიანები არამარტო ქმნიან ერის ისტორიას, არამედ, თავიანთი თავგანწირვის მაგალითით, ზრდიან ახალ გმირებს.

ჟიული შარტავას თავდადების მნიშვნელობაზე ისაუბრეს: სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა მალხაზ თორიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა.

„ჟიული შარტავა არის ჩვენი დროის გმირი. მან თავისი სამაგალითო საქციელით აჩვენა ყველას, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ სამშობლოსთვის და როგორ უნდა გიყვარდეს საქართველო. ჟიული შარტავას გმირობა მისაბაძია დღეს და ასე იქნება საუკუნეების შემდეგაც... მის გმირობაზე თაობები აღიზრდებიან. მადლობა მას, ამ თავდადებისთვის" – აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.

ღონისძიებაზე წაკითხულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრის, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატის, ირაკლი ხახუბიას მიმართვა:

„ძვირფასო სენაკელებო, დღევანდელ დღეს, სიამაყესთან ერთად, ტკივილიც ახლავს. გილოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს! მჯერა, ამაყია თქვენი ქალაქი, რადგან ჟიულის ქალაქია... მჯერა, ფუჭად არ ჩაივლის ჟიული შარტავას მიერ გაღებული მსხვერპლი, რადგან უკვდავია მისი ღვაწლი და საქმე."

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში აღევლინა ჟიული შარტავასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში დაცემულ გმირთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი.

საერთო კრებები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან საერთო კრებები ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულიდან დაიწყო.

აღნიშნული პროგრამით განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტები დასახლების საერთო კრებებზე, ახალსოფლის, თეკლათის და ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობამ გამოავლინა.

შეხვედრებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის სასურველი პროექტების განხორციელებას მოხმარდება.

მიმდინარე წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 64-მდე პროექტი განხორციელდება.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტის თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში 62 პროექტი განხორციელდა.

„მზის შვილების" დღე

21 მარტი ყველაზე უწყინარი, თბილი და საყვარელი ანგელოზების დღეა.

სენაკის მუნიციპალიტეტი წელსაც, ტრადიციულად, შეუერთდა „მზის შვილების" დღის აღნიშვნას.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნანა ზარანდია, მზის შვილების დღის აღსანიშნავად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე პატარებს ესტუმრნენ და მათ სასაჩუქრე ნობათები გადასცეს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე მოზარდებზე ყოველთვიურად 100 ლარი გაიცემა.

ეს მიზნობრივი ჯგუფი, საჭიროების შემთხვევაში, ასევე უზრუნველყოფილია სხვადასხვა სამედიცინო სარეაბილიტაციო მომსახურეობისა და ამბულატორიული კვლევების დაფინანსებით.

ჩვენ, მეგობრების ქრომოსომებს არ ვითვლით.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

მაჟორიტარი სამშობიარო სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

საქართველოს პარლამენტის წევრი, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, მოადგილესთან კახაბერ კუპრეიშვილთან და დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელთან შალვა სარდალიშვილთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო, მათ შორის, სამშობიარო სახლში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

სენაკის სამშობიარო სახლმა ფუნქციონირება 2017 წლიდან შეწყვიტა და მხოლოდ ლაბორატორიულ და საკონსულტაციო სერვისებს სთავაზობდა მოსახლეობას.

იგეგმება სამშობიარო სახლის სრული რეაბილიტაცია, რომლის დასრულების შემდეგ, იგი მრავალპროფილური სერვისებით შეძლებს მოსახლეობის მომსახურეობას.

ამ მნიშვნელოვანი სამედიცინო დაწესებულების აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტი საქართველოს პარლამენტის წევრის, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ხახუბიას და სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო.

„სენაკის მუნიციპალიტეტში, ქალაქად თუ სოფლად, განახლება-რეაბილიტაციის პროცესი ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს და ყველა მნიშვნელოვანი პროექტი სწორედ მოსახლეობის საჭიროებაზეა გათვლილი. მათგან გამოვყოფ სამშობიარო სახლის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტს, რომელიც განსაკუთრებით ჩვენს მომავალ დედებს, ჩვენს ქალბატონებს გაახარებს. სამშობიარო სახლი, აღდგენა-რეაბილიტაციის შემდეგ, მოსახლეობას სრული დატვირთვით მოემსახურება" - აღნიშნა ირაკლი ხახუბიამ.

სენაკში COVID19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო

სენაკის მუნიციპალიტეტში COVID19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში დაიწყო.

პირველი, ვინც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა გაიკეთა, შპს „სენაკის მუნიციპალიტეტის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორი, მურმან ბოჯგუაა.

სამედიცინო პერსონალის ვაქცინაციის მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი გაეცნენ.

სენაკმა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი 360 დოზა 13 მარტს მიიღო.

სენაკის მუნიციპალიტეტში პირველ ეტაპზე სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები აიცრებიან.

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციას ექვემდებარება ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ყველა პირი - ექიმი, ექთანი, სანიტარი, ლაბორანტი, სტომატოლოგი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი, ეპიდემიოლოგი, ადმინისტრაციული მუშაკები (მენეჯერი, მძღოლი, რეგისტრატორი და ა.შ).

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ინფექციისაგან დაცვის ეფექტური და უსაფრთხო საშუალებაა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უწყებები და კვალიფიციური ექიმები რეკომენდაციას უწევენ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციას!

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

განსახორციელებელი პროექტები შეირჩა ექვს ადმინისტრაციულ ერთეულში

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, მოსახლეობასთან საერთო კრებები/კონსულტაციები ნოსირის, ძველი სენაკის და გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაიმართა.

პრიორიტეტების შერჩევის პროცესს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვერავა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საერთო კრებებზე განხილულ იქნა მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები და ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა პრიორიტეტები:

ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში: ნოსირში, შუა ნოსირში, საოდიშარიოსა და საკილასონიოში - გარე განათების ქსელის მოწყობა;

სოფელ შუა ნოსირში - საბავშვო ბაღის შემოღობვა და საჩრდილობელის მოწყობა; ასევე, მემორიალის რესტავრირება და სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა; სასოლომონიოს უბანში - მილხიდის მოწყობა; სოფელ საოდიშარიოში - ხიდის რეაბილიტაცია; სასიმონიოს უბანში - სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფელ საბესელიოში - მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი პროექტების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები: სორტაში, კოტიანეთსა და ზემო სორტაში - გარე განათების ქსელის მოწყობა; მეორე ნოსირში - ცენტრალური სკვერის კეთილმოწყობა; ძველ სენაკში, მინი სპორტულ მოედანზე ხელოვნური საფარის მოწყობა; საჩიქობავოში - არხის ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება, ორი ხიდ-ბოგირის სათავისის მოწყობა.

გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამოვლინდა პრიორიტეტები:

გეჯეთი-წყემის დამაკავშირებელ გზაზე - გარე განათების ქსელის მოწყობა; სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა; საოჩიგავოს უბანში - სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

სენაკის მუნიციპალიტეტის 6 ადმინისტრაციულ ერთეულში დასაფინანსებელი პროექტები უკვე შერჩეულია.

მოსახლეობა თავად ირჩევს სოფლის პრიორიტეტებს, რითაც ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს სოფლის განვითარების უმნიშვნელოვანეს პროცესებში.

მოსახლეობა ირჩევს პრიორიტეტებს

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები ნოქალაქევის, ლეძაძამეს და ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულებში გამართულ საერთო კრებებზე შეირჩა.

მოსახლეობის საერთო კრებას, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული მალხაზ თორია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

განსახორციელებელი პროექტების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში: ჯიხას სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე ცემენტო-ბეტონის საფარის და არხის მოწყობა; სოფელ ლებაღათურიეში, ახალ ხიდზე, ტროტუარის მოწყობა; სოფელ ძიგიდერში, ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება; გახომელას უბანში, სკვერის კეთილმოწყობა;

ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა; სოფელ ბეთლემში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; სოფელ ლეგოგიეში, ცენტრალურ გზაზე არსებული მილხიდის რეაბილიტაცია და გარე განათების ქსელის მოწყობა.

ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში: ზემო ფოცხოში, შიდა საუბნო გზებზე, ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა; საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია; ქვემო ფოცხოში, შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოშანდაკება და ცხაურის მოწყობა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის 14-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი პროექტებისთვის 738 000 ლარია გამოყოფილი.

თანადგომის მორიგი აქცია სენაკში

კორონავირუსის პანდემიით შექმნილი გამოწვევების დასაძლევად, საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენის თანადგომის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ქალაქად და სოფლად მცხოვრებ 120 სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახსა და მარტოხელა ხანდაზმულზე სასურსათო პროდუქტების გაცემა განახორციელა.

სასურსათო პაკეტების დარიგების პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი და მერის წარმომადგენელი ქალაქ სენაკში, გოჩა ჭანტურია ესწრებოდნენ.

2020 წელს, აღნიშნულ მიზნობრივ ჯგუფს სასურსათო პროდუქტები სამ ეტაპად დაურიგდა.

მუნიციპალიტეტის მერიის, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის ერთობლივი ძალისხმევით, სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 1500-მდე განსაკუთრებული საჭიროების მქონე ოჯახს ჰიგიენური საშუალებებისა და სასურსათო პროდუქტებისაგან შემდგარი პაკეტები გადაეცა

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

შეხვედრა

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი"-ს წარმომადგენელი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს შეხვდა.

შეხვედრაზე თეა გოლეთიანმა განიხილა პროექტი „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოგვარებისთვის", რომელიც საქართველოს მასშტაბით 9 ქალაქში ხორციელდება. მრავალკომპონენტიანი პროექტი ახალგაზრდებთან მუშაობას, ეკონომიკის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამედიცინო მიმართულებებს მოიცავს.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა, მიმდინარე წელს განსახორციელებელ პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

გამართულ შეხვედრას, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ბადრი კალანდარიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე ელისო ცაგურია და საბჭოს წევრები ესწრებოდნენ.

სამუშაოებს გაეცნენ

სენაკში, „ცივი-ტეხურის მასივში", ახალისოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია" ნატანისაგან არხების ამოწმენდით სამუშაოებს აწარმოებს.

52 კილომეტრის მანძილზე განხორციელდება დაშრობა და ჭარბი წყლის მოცილება. სამუშაოები გასულ წელს დაიწყო და მიმდინარე წლის ივნისის თვეში დასრულდება. პროექტის ფარგლებში შენდება 26 ჰიდროტექნიკური ნაგებობა (მილხიდი).

მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ზაზა ნაჭყებია, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ შამათავა და საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯომარე ბადრი ხურცია.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში

21 მარტი-ქართული ჟურნალისტიკის დღე

რეგიონალური მედია-ინფორმაციის მიღების პირველი წყარო

ჟარკო პეტანი წერდა: ნათელ მომავალზე პოლიტიკოსები უნდა ზრუნავდნენ, ნათელ წარსულზე ისტორიკოსები, ნათელ აწმყოზე- ჟურნალისტები".

საზოგადოება ჟურნალისტისაგან მოითხოვს სიმართლის წარმოჩენას, ნაკლოვანებების ხმამაღლა თქმას, ახალი ინფორმაციის მიწოდებას, აწმყოს ავ-კარგის ერთმანეთისაგან გამიჯვნას, მომავლის პერსპექტივის(და არა შიშის) გაჩენას...

ჩვენი ნომრის სტუმარი ქალბატონი სოფო ჭაავა ქართული ჟურნალისტიკის დღეს ულოცავს რეგიონის ჟურნალისტებს. სოფოსთვის სენაკი მშობლიური ქალაქია. მისი მშობლები, ბებიები და ბაბუები ამ ქალაქში დაიბადნენ და მოღვაწეობდნენ. თავად ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდა ქალბატონი მაღალპროფესიულად მოღვაწეობდა და მოღვაწეობს როგორც ჟურნალისტიკის სფეროში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას. ვფიქრობთ მკითხველისათვის საინტერესო იქნება ქალბატონ სოფოს დამოკიდებულება რეგიონალური მედიასაშუალებებისადმი, ჟურნალისტური ეთიკისადმი.

გაზეთ „კოლხეთი" რესპონდენტს ულოცავს ქართული ჟურნალისტიკის დღეს, უსურვებს წარმატებულ საქმიანობას და ოჯახურ ბედნიერებას.

ქალბატონო სოფო, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ პროფესიით ჟურნალისტი ბრძანდებით, სად საქმიანობთ ამჟამად?

განათლებით ჟურნალისტი ვარ, 2001 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, ხოლო 2003 წელს - ამერიკის მისურის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამა. 15 წელი ვიმუშავე ტელევიზიებში - ვიყავი ახალი ამბების პროდიუსერი, ხოლო ბოლო წლებში ვიყავი ჟურნალ „ლიბერალის" ხოლო შემდეგ ჟურნალ „National Geographic"-ის აღმასრულებელი რედაქტორი.

ამჟამად, უკვე მეოთხე წელია, ვმუშაობ გაეროს ბავშვთა ფონდში (იუნისეფი) კომუნიკაციის სპეციალისტად. გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში 1993 წლიდან მუშაობს და მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას ბავშვთა უფლებების კონვენციის განხორციელების და მონიტორინგის კუთხით.

როგორია თქვენი დამოკიდებულება რეგიონალური მედიასაშუალებებისადმი, რა თვისებით არის ის დასაფასებელი. თქვენი აზრით მიეკუთვნება თუ არა რაიონის გაზეთები „გაყიდვად", პოპულარულ მედიასაშუალებათა რიცხვს?

ამერიკაში, სადაც მე მაგისტრატურა დავამთავრე, რეგიონალური მედია საშუალებები მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღების პირველი წყაროა. პირველ რიგში,

ადამიანებს ის ამბები აინტერესებთ, რაც მათ ცხოვრებას უშუალოდ შეეხებათ - რომელი გზა შეკეთდება, როგორ განაწილდება ქალაქის ბიუჯეტი, რა საგანმანათლებლო და განმავითარებელი პროგრამები არსებობს მათ რეგიონში და ა.შ. ამ ინფორმაციას ყველაზე კარგად კი ის ჟურნალისტები მოიძიებენ, ვინც სწორედ მათ ქალაქში ან რაიონში ცხოვრობენ. ნაციონალურ მედიაში - დიდ ტელევიზიებში - ნაკლებად ხვდება ინფორმაცია რეგიონიდან, თუ ის რამე დიდ სკანდალს არ ეხება. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, რომ რეგიონალური მედია საშუალებებს ძალიან დიდი როლი აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ უნდა მოიპოვონ და მიაწოდონ ადგილობრივ მოსახლეობას ყველაზე საჭირო ინფორმაცია, ის, რაც პირდაპირ აისახება ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. დარწმუნებული ვარ, თუ მოსახლეობა მისთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაციას რეგულარულად აღმოაჩენს ადგილობრივ გაზეთში, მისი ერთგული მკითხველი იქნება.

თქვენი აზრით, როდის იზრდება საზოგადოების მხრიდან ჟურნალისტის ნდობის ფაქტორი, როცა ის იცავს ჟურნალისტურ ეთიკურ ნორმებს, თუ მაშინ როდესაც ის აწვდის საზოგადოებას სენსაციურ, ზოგჯერ „ყურმოკრულ" თემებს?

საზოგადოების ნდობა მხოლოდ გადამოწმებული და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციით მოიპოვება. ვფიქრობ, როგორც კი მედია საშუალება მიმართავს „ყურმოკრული" და გადაუმოწმებელი ინფორმაციის ტირაჟირებას, ძალიან მალე დაკარგავს ნდობას. ამ შემთხვევაში, რაც არ უნდა ბევრი მაყურებელი თუ მკითხველი ჰყავდეს მას, ის ვერასდროს შეძლებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას.

დღეს საქართველოში მედიასაშუალებების და ტელევიზიების ბუმია, თქვენ რომელს ანიჭებთ უპირატესობას, ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიას?

ვფიქრობ, ახლა საქართველოშიც და მთელ მსოფლიოში სოციალური მედიის ბუმია და მედია საშუალებები სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგნენ. თუ დააკვირდებით, ახალი ამბები ახლა ყველაზე სწრაფად „ფეისბუქით ვრცელდება. ეს ერთი მხრივ პრობლემურია, იმიტომ რომ დიდი შანსია, რომ ამბავი არ იყოს გადამოწმებული და არასწორად გავრცელდეს ინფორმაცია, თუმცა მეორე მხრივ, ეს რეალობაა, რომელსაც უნდა მოვერგოთ და ჩვენვე უნდა ვისწავლოთ ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის გარჩევა ეგრედ წოდებული „ფეიქ ნიუსისგან". სწორედ ამიტომ, ვფიქრობ აუცილებელია, რომ სკოლის დონეზე ისწავლებოდეს მედია წიგნიერება - ანუ, ის უნარჩვევები, რაც საჭიროა იმისთვის, რომ გავარჩიოთ რომელია ფაქტი, და რომელი - რიგითი ფეისბუქ მომხმარებლის მოგონილი ჭორი. მაგალითად, ვინ არის ინფორმაციის წყარო? არსებობს თუ არა მტკიცებულებები? ხოლო ტრადიციულმა მედიამ - ტელევიზიებმა, გაზეთებმა - კარგად უნდა ისწავლონ სოციალური ქსელების სათავისოდ გამოყენება, გააკეთონ აქტიური ფეიჯები, სწრაფად და ხარისხიანად გაავრცელონ ინფორმაცია, იყვნენ პირველები ფოტო-ვიდეო მასალის მოპოვებისას და ა.შ.

სენაკის გაზეთი „კოლხეთი" 98 წლისაა, მის ფურცლებზე არაერთხელ გაშუქებულა კულტურის და საგანმანათლებლო სფეროს მუშაკების, მათ შორის თქვენი ბებია და ბაბუას პროფესიული საქმიანობა, რას უსურვებთ 98 წლის გაზეთს და საერთოდ ქართველ ჟურნალისტებს

გაზეთ „კოლხეთს" ვუსურვებ კიდევ დიდხანს წარმატებით საქმიანობას და ყველა იმ

გამოწვევასთან - რაც ზევით ვახსენე - თავის გართმევას. ადგილობრივ გაზეთებს დიდი ძალა და ენერგეტიკა აქვს, რაც არ უნდა განვითარდეს ელექტრონული მედია, სოციალური ქსელები თუ სკანდალური ტელევიზიები, ადგილობრივი გაზეთი ყველაზე სანდო და ახლობელ საინფორმაციო საშუალებად რჩება.

რას ნიშნავს სენაკი თქვენთვის, გაკავშირებთ თუ არა, ამ ქალაქთან ბავშვობის მოგონებები?

სენაკში გატარებული მაქვს მთელი ბავშვობა, სკოლის პერიოდში კი ზაფხულის ყველა არდადეგები. ჩემთვის სენაკი არის ის ორი სახლი, სადაც ჩემი ბებიები და ბაბუები ცხოვრობდნენ, და ერთი ბებია ახლაც ცხოვრობს. აქაურობას უკავშირდება მთელი ჩემი ბავშვობა - აქ შევიძინე პირველი მეგობრები, ვიცნობ ყველა მეზობელს გარშემო ქუჩებზე, ძალიან მიყვარს და ტკბილად მახსენდება ყველა ეს ადამიანი.

მედეა ბაღათურია

2019

2018

ფოტოალბომი

2005

2008

როცა ბედნიერება და წარმატება ერთმანეთს ერწყმის

რაოდენ ბანალურად და გაცვეთილადაც არ უნდა ჟღერდეს სიმართლეს გვერდს ვერ ავუვლით. ქალი -- სიცოცხლის საწყისი, ქალი -- სილამაზე, ქალი –დედა, დედაბოძი და ქალი ბედნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურანტია. სწორედ მაშინ ვართ ბედნიერნიც და წარმატებულნიც, როდესაც ეს ყველაფერი ერთმანეთს ერწყმის. სწორედ ამიტომაა, რომ წელიწადის ყველაზე თბილ და მშვენიერ დროს ქალებს უკავშირებენ. თითქოს ბუნებამაც იგრძნო და დაგვასაჩუქრა.

ჩვენო ერთგულო მკითხველნო! ვცდილობთ სასიამოვნო და თბილი წერილი წარმოგიდგინოთ და ახლოს გაგაცნოთ ქალბატონი, რომელიც გამოირჩევა და რომლის მაგალითზეც შეგვიძლია ვისწავლოთ.

ჩვენს ქალაქში საბედნიეროდ არიან მანდილოსნები, რომელთა ღვაწლი, როგორც ერთი უბრალო ქალისა განუზომელია. კარგია, როცა ასეთ ადამიანთა სიმცირეს არ განვიცდით და შეგვიძლია უხვად წარმოგიდგინოთ ისინი. ქალბატონი, რომლის შესახებაც გვინდა გიამბოთ სათნოებით, სიკეთით პროფესიონალიზმით და ქალური კლდემამოსილებით სავსე მანდილოსანია. დღეს ჩვენი რესპონდენტი გახლავთ ლეილა ცომაია. შესანიშნავი ქალი, დედა და ბებია. ვინც მას იცნობს დამეთანხმება, რომ იგი უსაზღვროდ თბილი და მოსიყვარულეა ყველას მიმართ. თუ არა ქალბატონი ლეილა ვინ უნდა ყოფილიყო გაზაფხულის ამ თბილ და ქალური დღესასწაულებით სავსე მარტში ჩვენი რესპოდენტი? ჰოდა ჩვენც არ დავაყოვნეთ და ჩავწერეთ ინეტვიუ.

ლეილა ცომაია დაიბადა სენაკში. იგი შეიძლება ითქვას ძირძველი სენაკელია. ქალბატონი ლეილა ცრემლის გარეშე ვერ იხსენებს ობლობის წლებს. იგი საკმაოდ პატარა ასაკში დარჩა ობლად თავის მცირეწლოვან და-ძმასათნ ერთად და მას შემდეგ დედამ ლიდა ცომაიამ გამოზარდა ისინი. სამივე შვილს მისცა უმაღლესი განათლება და გაუკვალა ცხოვრების არც თუ ია-ვარდით მოფენილი გზა. ქალბატონ ლიდას დაუფასდა კიდევაც თავის ღვაწლი და სამივე შვილი დღესდღეობით წარმატებულია თავიანთ სფეროში.

ქალბატონმა ლეილამ წარჩინებით დაამთავრა სენაკის №7 სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ავტომატიკისა და კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე. გარდა ამისა დამთავრებული აქვს ჟურნალისტიკის მეორადი ფაკულტეტი. სწავლის დამთავრების შემდეგ სამი წელი მუშაობდა კავშირგაბმულობის სამინსტროში და პარალელურად იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ კორესპონდენტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარიერის საკმაოდ წარმატებული სტარტი აიღო, მაგრამ საბოლოოდ ბედმა იგი მაინც მშობლიურ ქალაქს დაუკავშირა. ერთ-ერთი შევებულების დროს, როდესაც თავის ოჯახს ესტუმრა ბედმა შეახვედრა მეორე ნახევარს. დაოჯახდა და შექმნა შესანიშნავი ქართული ოჯახი ბატონ რევაზ ქუჩულორიასთან. იგი დიდი სიყვარულითა და სითბოთი გვიყვება მეუღლის შესახებ, ამბობს: „ჩვენი ოჯახის ძირითადი სიმდიდრე არის წესიერება, პატიოსნება და წიგნიერება“.

ქალბატონ ლეილას ჰყავს ერთი ქალიშვილი მარიამ ქუჩულორია და ორი ულამაზესი ტყუპი შვილიშვილი. რომლის აღზრდაშიც ბებოს დიდი წვლილი

მიუძღვის. მარიამი არის ძალიან წარმატებული და საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული ახალგაზრდა ქალი. „ვეცადე, რომ მის განათლებაში ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი ჩამედო და დამიფასდა კიდეც“. იგი დღეს საკმაოდ წარმატებული და შემდგარი პროფესიონალია. მან დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, პარალელურად სწავლობდა ჯიპაში. ამის შემდეგ სწავლა გააგრძელა ჩიკაგოში თავისივე სპეციალობით. ამჟამად იგი მოღვაწეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში და არის ამერიკული ორგანიზაცია კერძო მეწარმეობის საერთაშორისო პროგრამების ოფიცერი. ამავდროულად ევროპული ბიზნეს ასოციაციის თანადამფუძნებელი და გენერალური დირექტორის მოადგილე.

ქალბატონი ლეილა 25 წელი მუშაობდა ენერგეტიკაში კადრების მომზადების ინჟინრად. ამჟამად კი უკვე თითქმის 10 წელია იგი სენაკის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსია. შეიძლება ითქვას, მან გააგრძელა თავის მეორე სპეციალობით მუშაობა. რაც საკმაოდ კარგად გამოსდის.

ჩვენ მას მივმართეთ რამდენიმე კითხვით.

ქალბატონო ლეილა წელიწადის უმშვენიერესი დროა. ამბობენ მარტი ქალების თვეაო. თქვენთვის რასთან ასოცირდება წელიწადის ეს დრო.

გაზაფხულის პირველი თვე -- მარტი ჩემთვის სილამაზესთან, ახალი სიცოცხლის დაბადებასთან და ენერგიის მოზღვავებასთან ასოცირდება. იღვიძებს ბუნება, ფერადი ყვავილებით ივსება არე-მარე, ირგვლივ ჩიტების სასიამოვნო ჟღურტული ისმის. გული სიხარულით, სიყვარულით ივსება. ჩნდება იმედი, იბადება ახალი იდეები. ადამიანებს უჩნდებათ ახლის დაწყების სურვილი. უკეთესობისკენ ცხოვრების შეცვლის განსაკუთრებული სილამაზე ახლავს ამ თვეს... პეტრე გრუზინსკის ლექსს მოვიშველიებ: „გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში, იღიმება ლურჯთავლება ია, სითბო ისე შემოიჭრა გულში, თითქოს გულის კარი დამრჩა ღია“. შემთხვევითი არ არის, რომ დედის და ქალთა დღეებს გაზაფხულის ამ უმშვენიერეს თვეებს უკავშირებენ.

რა თვისებას გამოყოფდით საკუთარ თავში, რამაც განაპირობა თქვენი პიროვნების ჩამოყალიბება ისეთად როგორიც ხართ?



ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში დედას უდიდესი როლი მიუძღვის. მან მომცა მორალური, ფიზიკური და გონებრივი აღზრდა. პირველ რიგში შრომისმოყვარეობა, წიგნის სიყვარული, ერთგულება. მეც შესაბამისად ვეცადე ჩემი შვილისთვის იგივე თვისებები შეძლებისდაგვარად ჩამომეყალიბებინა. მე მგონი გამიმართლა კიდეც. ჩემი მარიამი ცდილობს თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნის საქმეში.

დამეთანხმებით ქალისთვის დედობა უპირველესი მოვალეობაა, როდესაც ქალი დედა ხდება, მისთვის იცვლება ყოველდღიური რეალობა და ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს გადის. რა ფენომენია დედა-შვილობა თქვენთვის?

დედა-შვილობა უდიდესი ფენომენია ქალის ცხოვრებაში. ღირსეული შვილების აღზრდა, მათ განათლებაზე ზრუნვა – ეს ქალის ყველაზე მთავარი მოვალეობაა. დედა მთელ თავის ცხოვრებას შვილს უძღვნის, მათი ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ ამავე დროს თავის ღირსეულ ადგილს იკავებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ურთიერთშეთავსება – ეს დიდი შრომაა ქალისთვის.

ყველა ადამიანს აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები. თქვენს შემთხვევში რას თვლით თქვენს ძლიერ და სუსტ მხარედ?

ჩემს ძლიერ მხარედ მიმაჩნია ალბათ ხასიათის სიმტკიცე. ბოლომდე მიყვარს საქმის მიყვანა, თუ რამე მაქვს გასაკეთებელი ვერ ვისვენებ სანამ კარგად არ დავასრულებ. ასევე ერთგულება და შრომისმოყვარეობა.

ჩემი სუსტი მხარე ალბათ არის ის, რომ ვარ ემოციური და არ შემიძლია „გაატარეს“ პრინციპით ცხოვრება. ძალიან მაწუხებს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა. ზოგიერთის უპასუხისმგებლო და მოჩვენებითი დამოკიდებულება საქმისადმი.

რას ეტყოდით და რა რჩევას მისცემდით იმ ქალბატონებს, რომლებიც არ არიან რეალიზებული საკუთარ პროფესიაში და მხოლოდ საოჯახო საქმეებით არიან დაკავებული. როგორ უნდა გაძლიერდნენ ასეთი ქალები, რომ არ დაკარგონ ქალურობა, რომელიც უდაოდ საჭიროა და აუცილებელი ქალის ბედნიერებისთვის?

მხოლოდ საოჯახო საქმეებით დატვირთულ ქალებს ვუსურვებდი პირველ რიგში ეამაყათ თავიანთი შვილებით, მათი წარმატებებით, რომ მუდამ იყვნენ ლამაზები, მოვლილები, რომანტიკულები. დამერწმუნეთ ეს აუცილებელია ცხოვრების ყველა ეტაპზე.

თქვენი აზრით როგორი უნდა იყოს ძლიერი ქალი?

ალბათ ძლიერია ქალი, რომელიც კარგად უთავსებს სამსახურეობრივ მოვალეობას და საოჯახო საქმიანობას ერთმანეთს. ნათქვამია „ქალი სუსტია, მაგრამ დედაა ძლიერიო“ მიუხედავად დარდისა, ძლიერ ქალს მუდამ სხივი უდგას თვალებში. მუდამ იმედის მიმცემია იგი თავისი ოჯახისა და პოზიტივს ასხივებს ირგვლივ. ვისურვებდი ასეთი ქალები ბევრნი ვიყოთ, რათა შევძლოთ ჩვენი ოჯახების გაბედნიერება და სწორ გზაზე დაყენება.

და ბოლოს, რას უსურვებდით ჩვენს ქალბატონებს?

ყველა ქალს ვუსურვებ, რომ გაზაფხულივით ლამაზი ყოფილიყოს მათი ცხოვრება. მათ გვერდით ჰყოლოდეთ ისეთი ადამიანი, რომელიც მათი ნიჭის და შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას მისცემს. ყოფილიყვნენ ბედნიერი დედები... ყველა ქალს გამოეცადოს დედობის სიხარული და ბედნიერება.

დედის სითბო ნუ მოგშლოდეთ!

გაიხარეთ, მრავალ მარტის დღესასწაულს დაგასწროთ უფალმა!

ჩვენს მშვენიერ რესპოდენტს ვულოვაცთ დედისა და ქალთა დღეებს. ვუსურვებთ ულევ სიხარულს, ბედნიერ ქალობასა და დედობას. სიხარული და ბევრი დადებითი ემოცია ყოფილიყოს თქვენი ოჯახის თანმდევი...

მუდამ გეგაზაფხულოთ ქალბატონო ლეილა!

მოამზადა

მარიკა მიქაბერიძემ

დედაშვილობა ამოუცნობი ფენომენია

გაზაფხულის უმშვენიერესი დღესასწაულები საგულისხმოა, რომ დედის ფენომენს და ზოგადად ქალს უკავშირდება. „დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსაო"-უთქვამთ... მართლაც, დედაშვილობის გრძნობა იმდენად ღრმა და ორგანულია, რომ ხშირად ვერ ვახერხებთ მივესათუთოთ მუდამ ჩვენს მოლოდინში მყოფ თავგანწირული სიყვარულითა და მზრუნველობით აღსავსე დედას.

თითოეული ქალი სიცოცხლის, სიყვარულისა და მშვენიერების სიმბოლოა. ყველა მანდილოსანს და განსაკუთრებით სენაკელ ქალბატონებს, ჩვენს სტუმარს, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარეს ქალბატონ ინეზა ღვინჯილიას, რომლებმაც უახლოეს წარსულში საოცარი მხნეობით დაითმინეს ბევრი განსაცდელი, ვულოცავთ დედის დღეს და რვა მარტს, ვუსურვებთ მშვიდობას, სიყვარულს, ოჯახურ ბედნიერებას და წარმატებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქალბატონი ინეზა დაიბადა სენაკში, მოსამსახურის ოჯახში, დედა ლიდა მურღულია, პედაგოგი იყო, მამა ტრიფონ ღვინჯილია-აგრონომი, რომელიც წლების მანძილზე უძღვებოდა რაიონის სოფლის მეურნეობას. „მინდა გითხრათ, რომ ჩემში თუ რამ დადებითი თვისებაა, მშობლების დამსახურებაა"-ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

დაამთავრა სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სამკითხველო დარბაზის გამგედ, საქართველოს კპ. სენაკის რაიონულ კომიტეტში, პარტიული განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკაში. ჰყავს ვაჟიშვილი ედიშერ ნანავა, რძალი თეონა ყურაშვილი, შვილიშვილები ნინო და გაგა ნანავები.



ქალბატონო ინეზა, გაზაფხულსა და მის ულამაზეს დღესასწაულებს ერთად მოგილოცავთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება 3 და 8 მარტისადმი, დედის და ქალთა დღესასწაულებისადმი?

მარტი, მარტად და ჭირვეულადაა ცნობილი, რატომღაც ქალებს ამ ჭირვეულობას ხშირად ღიმილით გვაბრალებენ! ვერ ვიტყოდი რომ ეს რეალობაა!-ჩვენთვის –ქალებისათვის ყოველი დღე შრომა, შვილებზე და ოჯახზე ზრუნვაა. ჩვენს რაინდებსკი –მარტში ასე ახლო-ახლოს ორჯერ მადლობის თქმა და ყვავილების მოძღვნა უხდებათ, ამას ჩვენს „ჭირვეულობას" ეძახიან, მაგრამ ჩვენზე მეტად უყვართ ეს დღესასწაული. ამ დღეებში აქვთ „გამართლება", ბავშვივით მოგვეფერონ, გვაკოცონ და თბილი სიტყვები უშურველად გვითხრან. სხვა დროს აბა რა ქნან, დაკავებულები არიან და თან კაცები ცოტა მეტად ძვირად ამბობენ მაამებელ სიტყვებს, აი გული კი ევსებათ და მარტში ამას ამოაფრქვევენ.

მიყვარს ეს დღესასწაულები, აბა შეიძლება შვილისა და შვილიშვილების კიდევ ერთი ორჯერ „ზედმეტი" კოცნა არ იყოს ბედნიერება ნებისმიერი ქალისათვის, მინდა, რომ ყველა ქალბატონისათვის წელიწადის ყველა თვე ისეთი ლამაზი და მშვენიერი იყოს, როგორც მარტია.

როგორია თქვენი დამოკიდებულება დედაშვილობისადმი? როგორ შემორჩა თქვენს მეხსიერებაში დედის ფენომენი?

ღმერთო ყველა ქალბატონს განაცდევინე ეს გრძნობა, როგორც სიყვარულია ამოუცნობი ფენომენი, ასევეა დედაშვილობა. როგორ შემორჩა ჩემს მეხსიერებას დედის ფენომენი? გიპასუხებთ: რაც თავი მახსოვს დედის გარეშე წამითაც არ მიცხოვრია, დღესაც იმქვეყნიური სასუფევლიდან მაძლიერებს, სიცოცხლის სტიმულს მაძლევს, დღესაც მარიგებს, დღესაც მტუქსავს, ის ჩემთვის დაუვიწყარი და მუდამ გვერდში მდგომი დედაა. იყო დედა „ძნელია", რადგან ბევრი ტკივილიანი და უძილო ღამეებია ამ სიტყვის მიღმა დამალული, მაგრამ დედას ყველაფერი ავიწყდება, ყველაფერს გპატიობს, დედა მთებსაც შესძრავს შვილის ბედნიერებისათვის, დედას ასაკი არ გააჩნია, დედა მარადიულია.

მარტის დღეებში უამრავ საჩუქრებს უძღვნიან ქალბატონებს, თქვენ როგორი საჩუქარი მიგაჩნიათ სასურველად?

„კეთილი გულით მიძღვნილი, მცირედიც შეიწირების"... ჩემთვის საჩუქარი ღირებულებით არ იწონება, მთავარი ყურადღება და სიყვარულია.

წელს 8 მარტს ჩემმა შვილიშვილმა, 4 წლის ნინომ საკუთარი ნახატი მომართვა, პატარას ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა, ირგვლივ გულები დაეხატა, გაგამ კი ვაჟკაცურად ყვავილებით სავსე კალათი მომართვა, ამაზე უძვირფასესი და ღირებული საჩუქარი რა უნდა იყოს. მათი აციმციმებული თვალები მთელი წელი მყოფნის ბედნიერებისათვის.

თქვენ საინტერესო და მნიშვნელოვან სამსახურს უძღვებით, თქვენს ქალურ მხრებს მძიმე ტვირთად ხომ არ აწვება სამსახური, ოჯახი?

როგორც მოგეხსენებათ ვმუშაობ სენაკის მუნიციპალიტეტს მოსწავლეახალგაზრდობის და კულტურის ცენტრში, ვარ კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ამავდროულად ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

მე მიმაჩნია, რომ სამსახური არის ოჯახი, სადაც უფრო მეტ დროს ატარებ, ვიდრე სახლში, მიუხედავად ჩემი ასაკისა, ერთი წუთითაც არ ვფიქრობ, რომ სამსახური ჩემთვის მძიმე ტვირთია, პირიქით, ეს ჩემი კომფორტის ერთ-ერთი ზონაა, სადაც თავს ვგრძნობ ყველაზე ამაღლებულად. როცა ვხედავ, რომ ვჭირდებით-ვიხარჯები მაქსიმალურად, ყოველ აქტივობებს ვეკიდები პასუხისმგებლობით, არც ოჯახი მაწევს ტვირთად. მიყვარს ოჯახში ფუსფუსი, დასაღლელად სად მცალია, როცა პატარა ნინო ხელებს მიკოცნის და მეუბნება „ჩემი ოქროსხელება ბებო, შენს ხელებს ვენაცვალეო", აქ ყველაფერი გავიწყდება, ბავშვურად ახალგაზრდა მგონია თავი და მინდა კიდევ უფრო მეტი შევძლო, ასე რომ ასაკი უნდა დაივიწყო.

რას უსურვებდით ქალბატონებს?

ყველა ქალბატონს ვულოცავ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს, 3 და 8 მარტს, ბედნიერი დღეები გქონოდეთ ლამაზ ოჯახთან ერთად, ცხოვრება ისე გაგევლოთ, რომ დაკარგული წლების სინანული არ გაგყვეთ.

უფლის წყალობა დაგბედებოდეთ, არ მოგაკლდეთ სიხარული, სიყვარული, სიკეთის კეთების სურვილი, მთავარია ერთმანეთი გვიყვარდეს, სიყვარული კი ყოველივე სიკეთის საწყისია. ეს საწყისი არ მოგვშლოდეს.

მაია გერგაია

„დედა სხვაა, ცოლი კი სხვა, ცოლის მაგიერი შეიძლება იშოვოს კაცმა, დედისა კი – ვერა. დედის დათმობაც არ შეიძლება, რადგან არ მოიპოვება, არც აირჩევა, არც გაიყოფა. შენიც იმდენია, რამდენიც შენი ძმისა, ორნი კი არა , შეიძლება ათნი იყოთ, დედა კი ერთია და ათისთვის ერთნაირი!"

(ოთარ ჭილაძე „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან")

სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრება

2013 წლის სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა დაიწყო, რომელიც თსსუ-სა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტის საფუძველზე შემუშავდა.

პროექტი მთლიანად ინოვაციურია. იგი მოიცავს ინგლისურენოვან სწავლებას, ხოლო მისი პროგრამის სტრუქტურა, რომელიც მთლიანად ემორის უნივერსიტეტს ეკუთვნის, უზრუნველყოფს სწავლის პროცესშივე აშშ-ის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის (United state medical licesing examination) ჩაბარებას, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, მსოფლიოს 80 ქვეყანაში იმუშაოს.

პროექტის მიზანია, აღზარდოს საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური ექიმები, რომლებიც მზად არიან დიპლომის შემდგომი განათლებისა და სპეციალური მზადებისთვის არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ეს პროგრამა სტუდენტს საშულებას აძლევს, სწავლის დაწყებისთანავე აქტიურად ჩაერთოს კლინიკურ საქმიანობაში და განახორციელოს სამეცნიერო კვლევა.

დღეს ჩვენი სტუმარია ახალგაზრდა, პერსპექტიული გოგონა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ამერიკული პროგრამის (ემორის) სტუდენტი, ნანა წურწუმია. სკოლაში სწავლიდანვე გამოირჩეოდა გულმოდგინებით, საფუძვლიანი და ღრმა ცოდნისაკენ სწრაფვით.



მები, ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ნანა.

უნივერსიტეტამდე ვსწავლობდი სამ სკოლაში და სამივესგან დიდი გამოცდილება შევიძინე, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი. მეცხრე კლასამდე სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლაში ვსწავლობდი, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო მეცხრე კლასის მეორე სემესტრი მესამე საჯარო სკოლაში დავასრულე. ამ ორი სკოლის მიუხედავად, ჩემს განვითარებასა და უდიდესი ცოდნის მიღებაში გადამწყვეტი როლი თბილისის კერძო სკოლა ინტელექტმა მიიღო, სადაც მასწავლეს როგორი უნდა იყოს ნამდვილი სკოლა, მასწავლებელი და ამის შემდეგ შეუძლებელი იყო ის თამასა, რომელსაც ჩემს თავს ვუდგენდი დამეწია...

15 წლიდან დავიწყე ჩემს მომავალ პროფესიაზე ფიქრი. ბევრი ადამიანის რჩევა გავითვალისწინე, თუმცა საბოლოოდ გადავწყვიტე ჩემი გულის ხმას მივყოლოდი, ამიტომაც ექიმობის რთულ, დიდ, თუმცა უსაზღვროდ საინტერესო გზას დავადექი. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დიდი დრო არ დამჭირვებია უნივერსიტეტის შესარჩევად, მაგრამ ძალიან დიდი დრო და შრომა დამჭირდა ამ პროგრამაზე ჩასაბარებლად და ბედნიერი ვარ, რომ არამარტო პროფესიულად, არამედ მორალურადაც ვვითარდები, ვინაიდან მიწევს ინტერნაციონალურ სტუდენტებთან ერთად სწავლა. ვფიქრობ, სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის ხალხთან ურთიერთობაა ყველაზე დიდი გამოწვევა ამ ეტაპზე ჩემთვის.

ემორის სტუდენტობა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ვინაიდან მუდმივად გიწევს უცხო ენაზე სწავლა, საუბარი და ყოველდღიური ურთიერთობა. რა თქმა უნდა, დღევანდელ პანდემიურ სიტუაციასაც ვერ დავივიწყებთ, რომელმაც ჩემზეც მოახდინა დიდი გავლენა, თუმცა არ ვფიქრობ, რომ სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრება არ მაქვს, ვინაიდან ჰიბრიდულ სტილში ვსწავლობ და დროის უმეტესი ნაწილის გატარება უნივერსიტეტში მიწევს.

ჩემი პროგრესის მუდმივი წყარო არის დედაჩემი, რომელიც მუდმივად ჩემი მოტივატორია და შეუძლებელია იმედები გავუცრუო.

სწავლის გარდა არაერთი აქტივობით ვარ დაკავებული, მაგრამ გამოვარჩევდი ცეკვას. დავდივარ ძალიან წარმატებულ ჰიპ-ჰოპის სტუდიაში და აქტიურად ვმონაწილეობ სატელევიზიო გადაცემებშიც. გარდა ამისა, თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ჩოგბურთს ვთამაშობ.

როგორც უკვე აღვნიშნე, მრავალმხრივი ინტერესის სფერო მაქვს და მათ შორის გამოვარჩევდი წიგნების კითხვას. ამ ეტაპზე ჯორჯ ორუელის 1984-ს ვკითხულობ.

რაც შეეხება მუსიკალურ გემოვნებას, განწყობის მიხედვით ვარჩევ ჟანრს, თუმცა გამოვარჩევდი რეპს.

სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ვფიქრობ ამ ეტაპზე ყველაზე რეალურია ისევ და ისევ ჩემს კარიერაზე ვფიქრობდე, ამიტომაც მინდა ამერიკის ექიმის სალიცენზიო გამოცდების ჩაბარება და რეზიდენტურის ამერიკაში გავლა, რისთვისაც ისევ და ისევ ის პროგრამა მამზადებს, რომელშიც ვსწავლობ.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია წარმატებები და წინსვლა ვუსურვოთ ჩვენს სტუმარს. გვჯერა რომ მიზანსწრაფული გოგონა კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს, წარმატებით დაამთავრებს სწავლას, მისგან უდაოდ კარგი სპეციალისტი დადგება და დიდ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის მომავლის შენებაში.

მ. შონია

„შენი ღიმილი ყველა დარდს მავიწყებს"



„16 წელი თითქოს არც დიდი, მაგრამ არც თითზე ჩამოსათვლელი... ბევრი მზიანი დღეები, ბევრიც წვიმიანი, ბევრი სიხარული, იმედი და ბევრიც იმედგაცრუება, მაგრამ უკან მოტოვებული დღეები, მთავარია რომ ხელი ერთმანეთისთვის არასოდეს გაგვიშვია. ჩვენს უკან წამოზრდილი ილონა და ალექსი და ჩვენი ამაყი სახეები. რამდენი გავიარეთ და მაინც ჯერ კიდევ ბევრია სავალი”. დამაინტრიგებელი პოსტია, პოზიტივს რომ ასხივებს. ამ სიტყვების ავტორი ნანა დამენიაა, სათნო, კეთილი, წიგნიერი ქალბატონი. ბავშვობიდან ასეთი იყო, მოწესრიგებული, მოსიყვარულე, კარგი უნარ-ჩვევებით, სწავლშიც გამორჩეული. მან წარჩინებით დაამთავრა ცოტნე დადიანის სახელობის ჰუმანიტარული ინსტიტუტი, ფილოლოგის კვალიფიკაციით. მერე თავის ცხოვრების თანამგზავრს, სოხუმელ ბესო ცინარიძეს შეხვდა, შეუყვარდათ ერთმანეთი და ოჯახი შექმნეს. გადაწყვიტეს სენაკში ეცხოვრათ, იქირავეს ბინა და იქ მოიწყვეს მყუდრო გარემო.

ბესოს ფიზიკურად მუშაობა არ უთაკილია. მუშაობდა ყველგან, სადაც შეეძლო რომ ოჯახის სარჩენი საშუალება გამოემუშავებინა. ასე იყო პურის საცხობში, თხილის საამქროში და ა.შ. ამჟამად მცირე მეწარმის სტატუსით ნაქირავებ ფართში ეწევა დამოუკიდებელ სავაჭრო საქმიანობას.

ნანამ შვილების შეძენის შემდეგ დაივიწყა ოცნებები და მთლიანად ილონასა და ალექსის აღზრდაზე გადაერთო. სულ მათ საჭიროებებზე ფიქრობდა, ცდილობდა კარგი გარემო შეექმნა, რომ სწავლში ხელი არ შეშლოდათ ბავშვებს. შედეგიც შესაბამისი აქვთ. ისინი სასკოლო და რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ყოველთვის გამარჯვეული. ერთ წელს სხვადასხვა საგანში ორი ოქროს მედალი ერგო. ალექსიც არ ჩამორჩება დას, მას უკვე 6 ოქროს მედალი აქვს საგნების მიხედვით: ორი ქართულში, ორი მათემატიკაში, ორი ინგლისურში. და-ძმის გატაცება მაგიდის ჩოგბურთია, თავისუფალ დროს სპორტის ამ სახეობით არიან ისინი დაკავებული. აქაც კარგი მიღწევები აქვთ. ალექსის 5 მედალი აქვს, ილონას კი ორი.

„შენი ღიმილი ყველა დარდს მავიწყებს. ჩემი სიმშვიდე ხარ, ჩემი სიხარული, მზესავით გულს მითბობ, სულს შუქით მინათებ. ჩემს დაბადების დღეზე საჩუქრით მოხვედი, პატარა თითებით მომიალერსე... ეს დღე დაუვიწყარ წუთებად მიქციე. უყვარხარ დედიკოს. თუმცა ვერ ვხსნი ამ გრძნობას რა ჰქვია სახელი“-ეს შვილებით, ოჯახით ბედნიერი ნანას სიტყვებია.

მართლაც აუხსნელია დედა-შვილური მადლი, უზომო, უხინჯო, უსამანო, მზესავით მათბობელი. გონიერი და წარჩინებული შვილები თავად არიან დედმამისთვის ჯილდო, სიამაყე... დარწმუნებული ვართ ილონა და ალქსი ბედნიერი საქართველოს ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდებიან, ბევრჯერ ისახელებენ თავს და სხვადასხვა სიბრტყეზე საუკეთესოდ წარმოაჩენენ ქვეყანას.

ნინო სართანია

მწერლის მორიგი წიგნი

მკითხველთა სამსჯავროზე გამოვიდა მწერალ ბორის დავითაიას მორიგი მძაფრსიუჟეტიანი ისტორიული რომანი „უგვირგვინო მეფე ”.

საქართველოს ისტორიაში თითოეულმა საუკუნემ თავისი გარკვეულო როლი ითამაშა ქვეყნის ცხოვრებაში. იყო პოლიტიკურად და ეკონომიურად წარმატებების, ასევე წარუმატებელი ხანგრძლივი წლები.

შიდა პოლიტიკური და გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით თავისებური იყო მე- 17 საუკუნე. ოსმალეთი და სპარსეთი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევრიის ტერიტორიების მიტაცება- აოხრებასა და მოსახლეობის სასტიკად დასჯაში.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პირველ ხაზზე წამოატივტივა არა ერთი მეფე და გმირი. ისტორიის სარბიელზე გამოჩნდნენ კახთა მეფე ალექსანდრე მეორე და თეიმურაზ პირველი, გიორგი საакაძე და წამებული, ქეთევან დედოფალი და სხვები.

ამ უშეღავათო მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა სამეგრელოს მთავარი, ლევან-2 დადიანი. დედით ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი და მამით ოდიშის სამთავროს უფლისწული.

გონება ნათელმა მოღვაწემ, მოახერხა ოსმალეთის შემოტევისაგან ქვეყნის დაცვა. აქტიური საგარეო და საშინაო პოლიტიკით სცადა დასავლეთ ევრიის გაერთიანება. მხარის ეკონომიკური და საბრძოლო პოტენციალის გაძლიერება. როც აღმოსავლეთ საქართველოში შეავიწროვეს ქრისტიანული მოღვაწეობა, ფაქტობრივად მოსპეს ყოველგვარი ლიტერატურული და შემოქმედებითი საქმიანობა, ლევან დადიანმა იტვირთა მძიმე მისია და ოდიში აქცია ეკლესიების მშენებლობის, ხატწერის, ვეფხისტყაოსნის გადაწერის, ვაჭრობის აღორძინების, ევროპასთან ურთიერთობის ხიდის გადების ცენტრად. განაახლა იერუსალამის ივერთა ტაძარი, აღადგინა იქ ქართული მღვდელმსახურება და ასე შემდეგ.

თუმცა, პირად ცხოვრებში იყო უიღბლო და ტანჯული..

ბორის დავითაიას წიგნი „უგვირგვინო მეფე“ ფართედ აცნობს მკითხველს ლევან -2 დადიანის მოღვაწეობასა და საქმიანობას. სხვა საინტერესო მოვლენებთან ერთად მხატვრულად აღწერს კუთხის ადათ- წესებს.

ჟ. ჩაჩიბაია

კიდევ ერთხელ გვასახელეს

„წიგნების თარო”— სატელევიზიო ფორმატის ორიგინალური ქართული თამაშია. პროექტის მიზანია, მთელი საქართველოს მასშტაბით გამოავლინოს შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდები, როგორც მოსწავლეები, ისე- სტუდენტები, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის X^ბ კლასის მოსწავლეებმა - მამუკა ლაშქარავამ, ნინი ქათამაძემ და მარიამ სახოკიამ, პირველებმა სენაკიდან, მიიღეს მონაწილეობა ინტელექტუალური თამაშში - „წიგნების თარო”-ს ახალ სეზონში და პირველი გამარჯვება მოიპოვეს.

მამუკა ლაშქარავა კი გახდა „თიბისი“ ბანკის რჩეული და სტიპენდიანტი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო დებიუტანტი ბლიცში.

ეს დიდი წარმატებაა სკოლა-გიმნაზიისთვის და ქალაქისთვის. ჩვენ ყველანი ვამაყობთ თქვენი წარმატებით. გისურვებთ წარმატებებს და ნათელ მომავალს.

მ. ჭუბაბრია

ხელმომწერთა საყურადღებოდ

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „კოლხეთზე“. ხელმოწერის ღირებულება 1 წლით შეადგენს 12 ლარს.

ძვირფასო თანაქალაქელებო, ხელმოწერით თქვენ სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებთ მუნიციპალიტეტის მემატიანეს.

გაზეთი „კოლხეთი"

განცხადება

სენაკში, ჭავჭავაძის ქ. №76 (ავტოსადგურის შენობის მეორე სართულზე ფუნქციონირებს მაგიდის ჩოგბურთის კლუბი.

ვარჯიშები ტარდება კვირაში 3-ჯერ (კოვიდ რეგულაციების დაცვით). კლუბში თქვენ დაგხვდებათ: 4 კარგი ხარისხის მაგიდა თანამედროვე მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარი, მეგობრული გარემო, ლიცენზირებული მწვრთნელი კობა ჩხიკვაძე. ტელ: 5 91 32 30 85.

მოტივაციის გაზრდისთვის

სსიპ ქ. სენაკის გენო ადამიას სახელობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები: ანა ნაჭყებია, ალექსანდრე ნაჭყებია, ანა-მარია კინტირაია, ნიკოლოზ კაჭარავა, ანი ბოკუჩავა ვართ ჩართული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“ ქვეპროგრამაში, რომელიც ემსახურება ზუგდიდსა და სენაკში მცხოვრები ბოშების სოციალიზაციასა და დახმარებას განათლების მიღებაში. პროექტი წარმატებულად გრძელდება.

მადლობას ვუხდით სენაკის მერს ბატონ ლევან კუპრეიშვილს, ჩვენი შრომის დაფასებისა და მოტივაციის გაზრდისთვის. ჩვენთვის დიდი პატივია მისი მხრიდან ყურადღების გამოვლენა. სენაკს უხდება მერი, რომელიც ახალგაზრდებს მხარს უჭერს და ბატონი ლევანი სწორედ ასეთი ლიდერია.

ანა-მარია კინტირაია

მადლობას ვუხდით

ჩვენს მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში არა ერთი პრობლემა იქნა მოგვარებული მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ოპერატიული და მყისიერი რეაგირებით. განხორციელდა არა ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი. აქტიურად ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

წლების შემდეგ ასფალტის საფარი დაიგო დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე. მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა. აღნიშნული სამუშაოები შეასრულა შპს „აფომ". სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი გაეცნენ.

ქუჩის მცხოვრებლების სახელით მადლობას ვუხდით სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, შპს „აფოს" სამუშაოს ხარისხიანად შესრულებისათვის.

შ. სახოკია

ჯ. კუბეციას ფოტო

სპორტი

რაგბი

2021 წლის 7 თებერვალს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, გაიმართა რაგბის ევროპის ჩემპიონატი. „ბორჯღალოსნებმა" 2021 წლის პირველ მატჩში რუსეთის ნაკრები დაამარცხეს ანგარიშით 16:7 შეგახსენებთ, რომ ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო 2020 წლის დასკვნითი შეხვედრა ორჯერ გადაიდო.

ვულოცავთ საქართველოს კიდევ ერთ ღირსეულ გამარჯვებას. როგორ გაიხარებდა და იამაყებდა ამ გამარჯვებით ქართული რაგბის ლეგენდა, საქართველოს რაგბის დამოუკიდებელი ფედერაციის ფუძემდებელი, სენაკის საპატიო მოქალაქეს, ბატონი დავით დავით კილასონია.

გამარჯვებას ვულოცავთ გიორგი ჯავახიას. ის სენაკელია, ნოქალაქევის მკვიდრი. 9 წლის ასაკში დაიწყო რაგბის თამაში. მისი პირველი მწვრთნელია სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელი მალხაზ კილასონია.

გიორგი ორი წელი თამაშობდა ფოთში „ბ" და „ა" ლიგაში. პროფესიონალურ დონეზე კი თამაში დაიწყო 17 წლისამ და გადავიდა ქუთაისის "აიაში".

ამჟამად 24 წლის გიორგი ჯავახია მოღვაწეობს საფრანგეთში.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

2021 წლის 20-21 თებერვალს, პოლონეთის ქალაქ პოზნანში ჩატარდა ღია საერთაშორისო ტურნირი ბერძნული-რომაულ ჭიდაობაში.

საქართველოს სახელით ასპარეზობდა, სენაკელი სპორტსმენი ომიკო შენგელია. საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლაში 92 კგ. წ/კ. მან პირველი ადგილი მოიპოვა და დასახელდა ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ.

ასახელა საქართველო და მშობლიური სენაკი. საქართველო, ჰოლანდია და უკრაინასთან ერთად მე-4 ადგილზე გავიდა.

ომიკო შენგელია სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის აღზრდილია.

მწვრთნელ-მასწავლებელი: ზურაბ დავითაია.

ვულოცავთ ომიკოს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს მომავალ ასპარეზობებზე.

სამბო

2021 წლის 26 - 28 თებერვალს, ქ. თბილისში ჩატარდა, საქართველოს 2021 წლის ღია პირველობა სამბოში 2003-2004წ.წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის.

ტურნირში მონაწილეობდა სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოსწავლე ნიკიტა ჩიტაია, რომელმაც 98-კგ/წ.კ დაიკავა მესამე ადგილი. მწვრთნელ-მასწავლებელი ელგუჯა გვასალია.

ვულოცავთ მათ გამარჯვებას.

კრივი

2021 წლის 24-28 თებერვალს, ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს 2021 წლის ჩემპიონატი ჭაბუკ მოკრივეთა შორის. ჩემპიონატში მონაწილეობდა, სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოსწავლე ლუკა წულეისკირი. მან, 46 კგ.წ/კ. დაიკავა მესამე - ადგილი. მწვრთნელ-მასწავლებლები: გიორგი კემულარია, ილია ცაავა.

ვულოცავთ მათ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს

ირინე გაგუა,
სენაკის სასპორტო გაერთიანების საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

სენაკის მუნიციპალიტეტის გაზეთ „კოლხეთის“ რედაქცია თანაუგრძნობს გამომცემლობა შპს „ხომლი-ენ“-ის თანამშრომელს თეა კაკაბაძეს მშობლების

ფოთოლა და მურმან კაკაბაძეების

გარდაცვალების გამო.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499